ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ლევან დარახველიძის

2020 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი და ქონების მართვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 140 დადგენილება და 406 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 17 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 16 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხი.

მათ შორის:

- თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

- დედაქალაქის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ანდრია ბასილაიას მოხსენება: ბიზნესის სტიმულირების, თბილისის განვითარების კვლევების, სტრატეგიებისა და პროექტების შესახებ. თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში ჩართვის შესახებ.

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-12 საერთაშორისო ფორუმის ჩატარება. ფორუმის ფარგლებში დაგეგმილი წამყვანი ქალაქების წარმომადგენელთა საერთაშორისო დონის მომხსენებლების მიერ თანამედროვე ეკონომიკური მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო კონტაქტების დამყარების შედეგად სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შემუშავება.

- ტურიზმის მხარდაჭერისა და ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობისკენ მიმართული პროექტების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე მსჯელობა.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის შეთანხმებული „თბილისის მეტროს პროექტი“, რაც გულისხმობს: თბილისის მეტროპოლიტენისთვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას, მეტროს რეკონსტრუქციასა და ასევე შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციას.

- თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

- პანდემიის პირობებში შექმნილ კრიზისში მეწარმეთა ფინანსური მდგმარეობის ხელშეწყობა და წახალისება.

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 29 სხდომა.კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 325 საკითხი.

მათ შორის:

- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის პროექტი.

- 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილება.

- თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების, ასევე იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა და შესაბამის დადგენილებებში ცვლილებები.

- მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარით გადაცემის საკითხის განხილვა. ახალი საბაგიროს მშენებლობის საკითხის განხილვა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესებში ცვლილებების დამტკიცება დედაქალაქის საკრებულოს შესაბამის დადგენილებებში.

- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და ასევე ღია კაფეს მოწყობის მიზნით მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელება.

- თბილისში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს ,,უორვიკშირ ესთეითის“ საქართველოს წარმომადგენლობისთვის'' სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა.

- მიკროავტობუსების ავტოპარკის განახლების მიზნით, თბილისის სატრანსპორტოკომპანიასა და რამდენიმე შპს-ს შორის იჯარის ხელშეკრულების გაფორმების საკითხები

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 13 სხდომაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში განვიხილე საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და დედაქალაქის მოსახლეობისთვის პანდემიით გამოწვეული სოციალური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების განხილვა.